სსრ კავშირის 52-ე ჩემპიონატი ფეხბურთში

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) – „დინამო“ (თბილისი) 1:1 (1:1)

ოდესა. შავი ზღვის სანაოსნოს ცენტრალური სტადიონი. 6 ივნისი.

„ჩერნომორეცი“: გრიშკო, კუზნეცოვი, ერიომინი (სპიცინი, 40), იშჩაკი, ტრეტიაკი, სმოტრიჩი, ციმბალარი (ნიკიფოროვი, 82), შჩერბაკოვი, იმრეკოვი, კონდრატიევი, პერეპადენკო.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე (ჩიქოვანი, 89), სვანაძე, ცვეიბა, ცაავა (ქეცბაია, 80), კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ვ. ფილიპოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს ერიომინი.

უკვე ის მდგომარეობა, რომ „ჩერნომორეცი“ გათამაშების ერთ-ერთი ლიდერია და, ამდენად, უშუალოდ დაინტერესებული იყო მატჩის შედეგით, განაპირობებდა ბრძოლის სიმწვავეს, ორივე გუნდის საბრძოლო განწყობას. მით უმეტეს, რომ თბილისის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ შეხვედრები საკავშირო ჩემპიონატებზე მუდამ გამოირჩეოდა დაძაბულობით. ეს განწყობა ამ დღესაც აშკარად იგრძნობოდა, მაგრამ, ეტყობა, ზედმეტი ნერვიულობა და სიფრთხილე აბრკოლებდა ორივე გუნდის ფეხბურთელებს, თამაშს თავიდანვე ხანმოკლე, მძაფრი შეტაკებების ხასიათი მიეცა, ხშირი იყო ე. წ. „მცირე ფოლები“, ერთ-ერთი ასეთი „მცირე“ დარღვევისას უკვე 30-ე წუთზე სერიოზულად დაშავდა დინამოელი ცაავა, რომლის ნაცვლად მინდორზე ქეცბაია გამოვიდა.

მასპინძლებმა თავიდანვე სცადეს თამაშის სადავეების ხელში აღება და გაშლილი ფრონტით შეუტიეს, მაგრამ დინამოელებმა მეტოქეს ხშირი და სახიფათო კონტრიერიშებით უპასუხეს. ასეთ მომენტებში „ჩერნომორეცის“ მცველებს საგანგებო მეთვალყურეობა დასჭირდათ გოგიჩაიშვილისა და კაჭარავას ნეიტრალიზაციისათვის, გარდა ამისა, თბილისელთა იერიშებს ხშირად ერთვოდნენ ჭედია, ჯიშკარიანი, კეტაშვილი, ამიტომაც ოდესელები იძულებულნი გახდნენ შემტევი რგოლის რამდენიმე მოთამაშე დაცვის ხაზზე გადაეყვანათ საშიში მდგომარეობის გასაქარწყლებლად. მასპინძელთაგან სახიფათოდ მოქმედებდა ცენტრალური თავდამსხმელი კონდრატიევი, რომელიც ამ გუნდში წლეულს გადმოვიდა მინსკის „დინამოდან“, მაგრამ მას ფხიზლად დარაჯობდნენ დინამოელი მცველები.

ანგარიში 42-ე წუთზე გაიხსნა. ოდესელთა კარში დაინიშნა საჯარიმო, კეტაშვილმა ძლიერად დაარტყა და გრიშკომ ვერც მოასწრო ბურთზე რეაგირება – 1:0. წუთიც არ იყო გასული, რომ „ჩერნომორეცმა“ თანაბრობა აღადგინა: კონდრატიევმა კარგად მიაწოდა ციმბალარს და ამ უკანასკნელმა თავით გაგზავნა ბურთი დინამოელთა კარში – 1:1.

შესვენების შემდეგ ოდესელებმა გააძლიერეს შეტევა, კონდრატიევს დაახმარეს ახალგაზრდა ფეხბურთელი ციმბალარი, აგრეთვე, პერეპადენკო, იმრეკოვი. მდგომარეობა დაიძაბა, მაგრამ ასევე აქტიურად ამოქმედდნენ დინამოელებიც, რომლებიც ზუსტად თამაშობდნენ დაცვაში და კვლავ კონტრიერიშებით პასუხობდნენ. ერთ-ერთი ასეთი მანევრისას , 67-ე წუთზე, თეთრაძემ გოგიჩაიშვილის გადაცემიდან ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. ასეთივე სახიფათო მომენტი შექმნეს მასპინძლებმაც და ნიკიფოროვის დარტყმა ამჯერადაც ძელმა იხსნა.

მატჩის დასასრულს „ჩერნომორეცი“ ბევრს ეცადა გარდატეხა შეეტანა თამაშში, რამდენიმე უძნელესი ბურთი მოიგერია გაბელიამ, 90-ე წუთზე კი თბილისელთა მცველებმა მხოლოდ ბოლო წამს მიუსწრეს ბურთს და კარის ხაზიდან გამოიტანეს იგი.

საბოლოოდ, თბილისის „დინამომ“ მეტოქის მინდორზე, ლიდერთან მატჩში, შეძლო მეტად საჭირო ქულის აღება.

გენადი სტოლიარჩუკი
(ტელეფონით „ლელოს“ სპეც. კორ.)

ოდესაში „ჩერნომორეცთან“ მატჩში დინამოელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი მინდორზე თავდადებით თამაშობენ, მთელი ძალით და მონდომებით იბრძვიან. აშკარაა, გუნდი პროგრესს განიცდის, რაც, ცხადია, ახარებთ ჭეშმარიტ გულშემატკივრებს მაგრამ... ფეხბურთელთა ტრავმებს ტრავმები ემატება. ტელევიზიით ყველამ ნახა აღმაშფოთებელი ფაქტი, როგორ აშკარად, განზრახ მოტეხეს ფეხი ცაავას. გუშინ „დინამოს“ საწვრთნელ ბაზას დავუკავშირდით. გვაცნობეს, რომ თბილისში დაბრუნებისთანავე გუშინვე ცაავას სასწრაფოდ გაუკეთდა ოპერაცია. ტრავმა, ცხადია, ძალზე სერიოზულია.

“ლელო” 8 ივნისი, 1989 წ.